საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. პარასკევი, 15 აგვისტო 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! № 182

# ერთობა

ფასი 1 მან.

გაზეთი ღირს: 1 თვით 25 მანეთი; ცალკე ნომერი ყველგან 1 მანეთი. განცხადების ფასი როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე პეტიტის სტრიქონი—2 მან. სამგლოვიარო განცხადება 40 მანეთი. ნისია განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპ. № 24.

ტელეფონი 16—62.

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა.

გულდამწვარი და თავზარდაცემული მშობლები ელენე ათანასე ნინიძის ასული და ვარლამ (კოლია) დავითის ძე ჯიბლაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 12 მარიამობისთვეს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი პატარა ქალი

ლიუდმილა.

ღრმად დამწუხრებული ირაკლი მგალობლიშვილი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობებს, რომ დღეს გადახდილ იქნება წლის წირვა საყვარელი ცოლის

ნინა გესარიონის ასულის მგალობლიშვილის

სულის მოსახსენებლათ.

## გამოურკვეველი მდგომარეობა

ჩვენი საზოგადოება სამართლიანად ღელავს და პასუხს მოელის შემდეგ კითხვებზე: როდის მოეღება ბოლოაუ ჰანელ სიძვირეს? როდის გაიხსნება საზღვრები და დამყარდება ჩვეულებრივი მისვლა-მოსვლა მეზობლებთან? როდის იცნობენ მოკავშირენი ჩვენს დამოუკიდებლობას, რათა ერთგვარი საერთაშორისო გარანტია მივიღოთ არსებობისა, რომ ყოველდღე დენიკინის თუ ოსმალოს შემოსევის შიში არ ვიმყოფებოდეთ? განსაკუთრებით აინტერესებს ყველას ჩვენი საზავო დელეგაციის მოქმედება, ის შედეგი, რომელსაც მან მიაღწია ჩვენი პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცების საქმეში.

მაგრამ ჩვენმა საზოგადოებამ ჯერ ისიც კი არ იცის, თუ როდის დაისმის საზავო კონფერენციაზე საკითხი ჩვენი დამოუკიდებლობის საბოლოო ცნობის შესახებ.

პრესაში გამოქვეყნებულ ევროპის სხვადასხვა გავლენიან პირების და ჯგუფების ნათქვამიდან, მართალია, ჩვენ ვიცით, რომ ევროპაში ბევრი ავტორიტეტული დამცველი ჰყავს ჩვენს საქმეს; გვაქვს აგრეთვე ოფიციალური განცხადებანი მოკავშირეების, რომ ისინი თანაგრძნობით უცქერიან ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლად აღიარების საქმეს, მაგრამ ჩვენი ბედი საბოლოოთ გადაწყვეტილი არაა.

ამ გარემოების ახსნელად ჩვენში ბევრს დიდი ხანია დამზადებული აქვს პასუხი. ქართველი ნაციონალისტები არწმუნებენ ქვეყანას, რომ სოციალ-დემოკრატიამ ჯერ კიდევ რუსეთის თვითმპყრობელობის ბატონობის დროს დაუჩლუნგა ქართველ ხალხს ეროვნული თვითშეგნების გრძნობა; დღეს კი ის თითონ გაბატონდა ცხოვრებაში, მაგრამ ვერ გამოიჩინა საკმაო უნარი, რის თავი და თავი მიზეზი ის არის, რომ დღესაც გულით არ სურს მას საქართველოს დამოუკიდებლობა. რუსი ნაციონალისტების აზრით კი შეუძლებელია საქართველოს დამოუკიდებელი არსებობა, რადგან მას საამისო ძალები არ მოეპოვება, თუმცა დღეს ბრმაც კი უნდა ხედავდეს, რომ საქართველო, სხვა ქვეყნებთან შედარებით, არ არის ღარიბი არც ინტელექტუალურ შემოქმედებით და არც მატერიალურ ძალებით.

მიზეზი უფრო ღრმაა და იმალება თვით საერთაშორისო მდგომარეობის გაურკვევლობაში.

მოკავშირეების გამარჯვებას მოყვა ორი მოზრდილი სახელმწიფოს დაშლა-დანგრევა: ოსმალეთის და ავსტრო-უნგრეთის. რუსეთის დაშლა ხომ უფრო ადრე, ომის შეჩერებამდე დაიწყო. ამგვარად საკითხი დადგა ევროპაში ახალი გადაჯგუფების მოხდენისათვის, ახალი საერთაშორისო ურთიერთობის დამყარებისათვის. გაბატონებული რომ იყოს დემოკრატია, მაშინ ვილსონის ცნობილი 14 მუხლი მაინც განხორციელდებოდა და დაუსრულებელ ქიშპობას და უთანხმოებას ბოლო მოეღებოდა. მაგრამ დემოკრატიის უარმყოფელი ბოლშევიზმი თითქმის მთელ ევროპას მოედო, მუშათა კლასი დაიქსაქსა და დემოკრატიასთან შეთანხმების ნაცვლად, ბევრგან დემოკრატიის წინაალმდეგ დაიწყო ბრძოლა. ამ გარემოებამ კი ზავის საქმე ბურჟუაზიას ჩაუგდო ხელში და სხვა და სხვა ქვეყნის ბურჟუაზიის შორის აბა როდის ყოფილა ინტერესთა სოლიდარობა, რომ დღევანდელ მნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხების გადაჭრის დროს ყოფილიყო.

დავის მთავარ საგნათ ისევ „ავათმყოფი" კაცი გახდა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ „ავათმყოფ" ოსმალეთის სამკვიდროს ავსტრო-უნგრეთიც დაერთო.

სხვა და სხვა დროს დადებულ საიდუმლო ხელშეკრულობით, ეტყობა, ოსმალეთის ტერიტორია უკვე დანაწილებულია და ერთი „მემკვიდრეთაგანი" საბერძნეთი უკვე შეუდგა თავის წილის მიღებას. მაგრამ იურიდიულ ხელშეკრულებებს არ ახლავს საკმაო რეალური ძალა და „ავათმყოფი" კაციც საბოლოოთ არ ეიხოვება სიცოცხლეს.

გაზეთებში ასეთ ცნობებს ვკითხულობთ: ოსმალები გაათამამა რუმინელების მიერ დროებითი ზავის დარღვევამ, ტრაპიზონის ვილაიეტში ოსმალებმა განაახლეს ბერძნების შევიწროვება, ახალგაზრდა ოსმალებმა მოკავშირეთა საწინაალმდეგო აგიტაცია გააძლიერესო.

მეტიც მოხდა: ოსმალებმა დიდი ზიანი მიაყენეს სომხეთს, სხვათა შორის ბევრი სომეხი იქნა ამოწყვეტილი. ამ დროს სომხეთის მოსავლელათ დანიშნული ამერიკის წარმომადგენელი ჯერ არც კი გამომგზავრებულა სომხეთისაკენ და დანამდვილებით არავინ იცის, გამოაყოლებენ თუ არა მას რეალურ ძალას, ჯარს, ურომლისოდაც ოსმალეთი ჩვეული არაა დამორჩილებას.

ამას გარდა ჩვენ ვიცით, რომ რუმინიის ჯარი შეესია უნგრეთს, რაკი მან უნგრეთის ბოლშევიკების მიერ გამოწვეულ არევ-დარევით და უნგრეთის დასუსტებით სარგებლობა თავისთვის ხელსაყრელათ ჩასთვალა; პოლონეთი ებრძვის გერმანიას და რუსეთს, თვით რუსეთში საშინელი სამოქალაქო ბრძოლა გრძელდება და ხალხის ჟლეტას ბოლო არ უჩანს.

ამ რიგად ევროპა ჯერ თითონ არ დამშვიდებულა; წესრიგი მას თვით ენატრება, ცხადია, ასეთს პირობებში არავის არ შეუძლია იმის თქმა, თუ როდის გათავდება საბოლოოთ ჩვენი დამოუკიდებლობის საქმე. სანამ საბოლოოთ არ შეურიგდებიან გერმანიას, სანამ წესრიგი არ დამყარდება ავსტრო-უნგრეთში, სანამ რეალურად არ გადაწყდება „ავათმყოფი" კაცის—ოსმალეთის მემკვიდრეობის ბედი, მანამ ევროპა ნაკლებათ მოიცლის ჩვენთვის. უკეთეს შემთხვევაში ის იცნობს და დაადასტურებს მომხდარ ფაქტს, შექმნილ მდგომარეობას, რამდენათაც ეს მდგომარეობა ხელის შემშლელი არ იქნება საერთაშორისო მყუდროებისათვის.

ამის მიზეზია, სხვათა შორის, ის, რომ დენიკინი ჩქარობს ჩვენში შემოსვლას და რადგან საკმაო ფიზიკური ძალა არა აქვს, უნდა მოაჩვენოს ქვეყანას, რომ ის ჩვენი მტერი არაა.

ცხადია, ჩვენი ბედის გამოჭედა ჩვენსავე ხელშია. ვაჭრობა-მრეწველობის აყვავება, შრომის ნაყოფიერების აწევა, მეზობლებთან მორიგება და ურჩების საწინაალმდეგოთ კარგი ჯარის გაწვრთნა და გამრავლება—ასეთია ის ძნელი, მაგრამ საიმედო გზა, რომელიც სამშვიდობოზე გაგვიყვანს. ვინც ამის წინააღმდეგია, ის ჩვენი მტერია.

## შინაურ ძალთა დამრღვევი ელემენტები

მთავარი საფრთხე ჩვენს ქვეყანას გარედან მოელის. დენიკინის სახით ჩვენ საქმე გვაქვს იმ გარეშე ძალასთან, რომელიც ჩვენი წყობილების დანგრევას ლამობს.

მაგრამ ეს გარეშე ძალა უძლური იქნება, უკეთუ ის დამხმარეს შიგნით ვერ ჰპოვებს. ამიტომ მტერი მუდამ დიდ ყურადღებას აქცევს ამ მხარეს. თუ გავთიშავ, ვიბატონებო, აი რას ფიქრობს ის.

დღევანდელ მდგომარეობას თუ გადავავლებთ თვალს, ჩვენში ბლომათაა ასეთი გამთიშავი ელემენტები თავმოყრილი, ზოგი შეგნებული, ზოგი კი შეუგნებელი.

ჩვენი შინაური ძალების გათიშვა ბევრის გზით ხდება.

მტრის მოსყიდული აგენტები მხნედ მუშაობენ და ხალხში ათასგვარ ყალბ ცნობებს ავრცელებენ.

ბევრი აშკარა მოღალატე ხალხის მომხრეთ გამოდის და იცავს მას „მთავრობის სისასტიკისაგან".

ბევრს პირადი ინტერესები ამოქმედებს—სურს ხელის მოთბობა, ჯიბეების გასქელება, და თუ მისთვის არევ დარევა სარგებლიანი საქმეა, არც ის აკლებს ხელს.

ბევრ ავანტიურისტს პოლიტიკური ცხოვრების სათავეშიაც სურს მოქცევა...

ამას დაუმატეთ განაწყენებულთა, შეურაცყოფილთა რიცხვი, პარტიული ანგარიშების გასწორების წინ წამოყენება და თქვენ მიიღებთ იმ სურათს, რომელზედაც გამოყვანილი იქნება შინაურ ძალთა დამრღვევი ელემენტები...

ამ სურათს ჩვენი მკითხველი კარგათ იცნობს. მასზე ჩვენ სიტყვას არ გავაგრძელებთ, მხოლოდ გვსურს ორიოდე სიტყვა ვსთქვათ „პარტიული ანგარიშების" გასწორების შესახებ.

ყველაზე დამღუპველი, ყველაზე დიდი ზარალის მომტანი თავდაცვის დროს გარეშე მტრისაგან „პარტიული ანგარიშების" გასწორებაა.

ეს ჩვენ რამდენჯერმე აღგვინიშნავს და კიდევ ამ საგანზე გვიხდება ლაპარაკი...

რა აქვს „სახალხოს" და ს.-ფედერალისტების პარტიას ჩვენთან სადავო იმ დროს, როცა ორივეს მტერი განადგურებით გვემუქრება?..

რამდენათ „სახალხო" სოც.-ფედერალისტების ზრახვათა გამომხატველია, ჩვენ ეს არ ვიცით, მხოლოდ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თუ პარტია „სახალხოს" პოზიციას იზიარებს, ეს საერთო საქმისთვის დიდათ საზარალოა.

როცა ჩვენ „სახალხოს" ზოგიერთი მწერლებიც მოვიხსენიეთ, გუშინ მხოლოდ ის გვქონდა მხედველობაში, თუ როგორ დამრღვევ მუშაობას აწარმოებენ ეს მწერლები ნებსით თუ უნებლიეთ.

„სახალხომ" კი ასე გაიგო ჩვენი ნაწერი: „გამათრახებულია ყველა საზოგადოებრივი ჯგუფი ამიერ კავკასიისა, გარდა მუსავატისა, რომელთანაც ხელი-ხელ ჩაკიდებული სურს იაროს „ერთობა" ს.

„გზა დაგვილოცნია! მუსავატი და „ერთობა". ორნი არიან, ტოლნი არიან! აიღეთ, ბატონებო, ხელში თქვენი შეყვარებული რეპრესიები, გვებრძოლეთ ამ გზით, მაგრამ ერთს მაინც აღვნუსხავთ:—ეს მართლა რეაქციონური ბლოკი დემოკრატიას სწორეთ დენიკინთან ბრძოლაში არ გამოადგება და იმდენჯერ უღალატებენ დემოკრატიას, რამდენჯერაც დენიკინის გენერლები „ტკბილ საუბარს" გაუმართავენ მენშევიკებს".

ბევრი დაკვირვება საჭირო არ არის, რომ მკითხველი დარწმუნდეს იმის სიმართლეში, რასაც ჩვენ ვსწერდით „სახალხოს" შესახებ.

„სახალხოს" მუსავატთან „კავშირი" რეაქციონურ საქმეთ მიაჩნია. „სახალხომ" კარგათ იცის, ვისთან გვაქვს „კავშირი", მაგრამ მაინც თავისებურათ სწერს, რომ ზოგიერთი გულუბრყვილ შეცდომაში შეიყვანოს—ჩვენ რეაქციონერად დაგვსახოს, თითონ რევოლიუციონერად გამოვიდეს!

რას ნიშნავს ეს?

ჩვენ სამხედრო კავშირი გვაქვს ადერბეიჯანის რესპუბლიკასთან. გვგონია, რომ დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში ადერბეიჯანის მთავრობა, რომელიც მუსავატის პარტიის წევრებისაგან შესდგება, ჩვენთან იქნება. სხვა ძალა ადერბეიჯანში არ არის, რომელთანაც რეალურად შესაძლებელი იყოს კავშირი.

როცა დამფუძნებელ კრებაში ამ ხელშეკრულობის რატიფიკაცია მოხდა, სოციალისტ-ფედერალისტები ჩვენთან იყვნენ. მათ კარგათ იცოდნენ ვის შეკრა საქართველო კავშირით. რა გამოიცვალა ამის შემდეგ?

არაფერი! სოციალ ფედერალისტების პარტიის ზოგიერთმა წევრებმა მოისურვეს რამდენიმე უკმაყოფილო ელემენტით პარტიის გაზრდა, პარტიული ორგანოს ტირაჟის აწევა ჩვენს ხარჯზე ამიტომ სწერენ ასე მოურიდებლათ, თავამდებულათ.

რას მოიტანს ასეთი წერა? ზოგიერთ გულუბრყვილოს ფედერალისტთა პარტიაში მართლა გულს აუცრუებს „რეაქციონერებთან" ერთად ბრძოლაზე საერთო მტრის წინაალმდეგ. იმის ნაცვლად, რომ მებრძოლთა რიცხვი გავამრავლოთ, „სახალხოს" მწერლები ამცირებენ მას!

ნამდვილათ კი ჩვენ ვიცით, რომ მებრძოლი სოც.-ფედერალისტები ჩვენთან არიან დენიკინის წინაალმდეგ და ვფიქრობთ, ჩვენთანვე დარჩებიან, როცა ჩვენ „ადერბეიჯანის რეაქციონურ ბლოკში" ვიქნებით.

და ეს, ჩვენ გვჯერა, ოდნავათაც არ გააწითლებს „სახალხოში" მოკალათებულ უტიფარ მწერლებს...

## პრესა

„ნორ-აშხატავორი" (№ 164) მოწინავე წერილში სწერს იმის შესახებ, თუ რა სამსახური გაუწევია საქართველოს მთავრობას სომხეთისთვის:

„ქართული პრესა მაღლიდან მიცემული ნიშანით ერთხმად აქებს ჩვენს მთავრობას, თითქოს მას დიდი დახმარება გაუწევია და უწევს ეხლაც სომხეთს.

„თუ რა დახმარება გაუწევია, ჩვენ არ ვიცით. ეს უნდა იცოდნენ ორი ქვეყნის დიპლომატებმა, მაგრამ ისიც ვიცით, რომ მენშევიკური მთავრობა წინაალმდეგია პრინციპიალურად საიდუმლო დიპლომატიისა. და მაშასადამე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასეთი საიდუმლო დახმარება არ გაუწევია ჩვენს მთავრობას სომხეთისთვის და არც უწევს... იმიტომ, რომ უკანასკნელი არ არის ჩვენი „სამხედრო მოკავშირე". მაშასადამე, სიტყვა იმ დახმარებაზეა, რომელიც გაუწევია საქართველოს მთავრობას „დაწყევლილ ტრანზიტის საქმეში".

„ბევრი რამ ამ ზნეობრივი დაცემის დროს ფეხქვეშ გათელილია, მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ მიუდგომელი და მოუსყიდავი პრესა მოვალეა აღნიშნოს მხოლოდ სიმართლე.

„ჩვენ უდავოთ ვთვლით იმ ფაქტს, რომ ქართული მთავრობა ყოველნაირ დაბრკოლებას ჰქმნიდა სომხეთისთვის ტრანზიტის საქმეში, რასაკვირველია, არა თუ ცუდი აზრებით, არამედ იმისთვის, რომ აიძულოს სომხეთი დაუთმოს საზღვრების საკითხში.

„მაგრამ „ბორბას" მოხდენილი თქმით, ეს „არ ამართლებს" ფაქტს, არამედ მხოლოდ აშუქებს... მგონია, დროა ცოტათი პატივი ეცეს სიმართლეს და ბოლო მოეღოს სომხების წინაალმდეგ იმ დავიდარაბას, რომელიც ახლად აღუძრავს ქართულ პრესას კლემანსოს დეპეშის გამო. უმადურობაზე და დაბეზღებაზე წერის ნაცვლად, ურიგო არ იქნებოდა კონკრეტიულად ეჩვენებინა ამ პრესას გაწეული სამსახური სომხეთისთვის".

# დღეს

ამერიკის წარმომადგენლები მოითხოვენ, რომ ფრაკია ბულგარეთს გადაეცეს და არა საბერძნეთს. ეს გარემოება საზავო კონფერენციას გაჭირვებულ მდგომარეობაში აყენებს.

ფრანგული პრესის ცნობით ბულგარეთში და ოსმალეთში მდგომარეობა გამწვავებულია... ოსმალეთში ახალგაზრდა ოსმალები მოკავშირეებისა და სომხების წინაალმდეგ საომრად ემზადებიან.

უნგრეთის შესახებ გაგზავნილ ნოტაზე მოკავშირეებს რუმინიის პასუხი არ მიუღია. რუმინელები ერცჰერცოგ იოსებთან შეთანხმებით მოქმედებენ.

ფრანგული პრესის ცნობით ბერძნების მდგომარეობას კრიტიკულად სთვლის საბერძნეთის დელეგაცია და ცდილობს, რომ მხარი დაუჭირონ მათ, საფრანგეთმა, ინგლისმა და იტალიამ.

---

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ „აშხატავორი“, ისე როგორც „კავკაზსკოე სლოვო“, სომხეთის დაშნაკური მთავრობის გაზეთებია თფილისში და როცა ეს გაზეთი ჩვენს მთავრობაზე სწერს, ალბათ, ვილაცის მოტყუილებას ცდილობს.

აკი ავეტისიანი საქართველოს პარლამენტში სომხეთის მთავრობაზე ამბობდა: ჩვენი მთავრობაო.

დაშნაკციუტიუნის „აშხატავორი“ ჩვენგან მოითხოვს იმის ჩამოთვლას, თუ რა სამსახური გავუწიეთ სომხეთს.

ვუპასუხებთ: შეძლების დაგვარათ ვეხმარებოდით. ეს შეგვიძლია მოკლეთ ვთქვათ.

რა სამსახური გაუწია სომხეთის მთავრობამ დაშნაკციუტიუნის სახით საქართველოს?

დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა—მტრობა. დაშნაკციუტიუნი ვერ შეურიგდა ჩვენს დამოუკიდებლობას. გვახსოვს, როგორ „მიესალმა“ საქართველოს დამოუკიდებლობას ამიერ კავკასიის სეიმის დაშლის დღეს დაშნაკციუტიუნის წარმომადგენელი აოჰანჯანოვი.

გვახსოვს, როგორ „უჭერდა მხარს“ ჩვენს დამოუკიდებლობას დაშნაკციუტუნის სახელით ქალაქის საბჭოში გიორგი ხატისოვი.

გვახსოვს, როგორ ამზადებდა სომეხ-ქართველთა ომისათვის ნიადაგს თფილისში და მის გარეთ სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენლად წოდებული დაშნაკელი არშაკ ჯამალიანი.

ისიც გვახსოვს, თუ როგორი ცნობები გაჰქონდათ სომხურ დაშნაკელთა ლაბორატორიებში დამზადებული საქართველოზე საზღვარგარეთ საქართველოს დამოუკიდებლობის საწინააღმდეგო.

ასე გაჰქონდათ და გამოჰქონდათ საქართველოს რესპუბლიკა დაშნაკელებს და ახლა ჩვენ გვთხოვენ პასუხს—გვიბრძანეთ, რით დაგვეხმარეთო.

უნდა ვიფიქროთ, რომ ახლო ხანში იმასაც საბუთად მოიყვანენ, რომ ხატისოვის დეპეშა დაშეული სომხეთისთვის დახმარების აღმოჩენაზე, არ იქნა დაკმაყოფილებული მაშინ (დეკემბერში), როცა ჰდროს ლაშქარი თფილისის დასაპყრობათ მოიწევდა და ჩვენი ჯარი სისხლისაგან იცლებოდა.

და განა სომხეთის მთავრობამ თავი გაიმართლა იმ ჯაშუშობაში, რომელიც მან, თუ მისმა აგენტებმა ჩაიდინეს კლემანსოსთან დეპეშის გაგზავნით?

არ გაგვიგზავნია დეპეშაო, ამბობენ.

აქ თუ ასე გაგიჟებით ამტკიცებთ დეპეშაში მოყვანილ ბრალდებებს, არავითარ საშუალებებს არ ერიდებით მის დასამტკიცებლათ, რატომ არ ინებებდით ერთ ასეთ საშუალებათ დეპეშის გაგზავნას კლემანსოსთან?

ადვილი და სახეიროა დაშნაკციუტიუნისთვის თქმა, თავი დაანებეთ კლემანსოს დეპეშასო.

ჩვენ კი ვამბობთ: ჩვენი რესპუბლიკის საწინააღმდეგო ვერც ერთ გამოსვლას ვერ ვაპატიებთ დაშნაკციუტიუნს. ვერ ვაპატიებთ მით უმეტეს იმ ჯაშუშობას, რომელიც მან კლემანსოსთან დეპეშის გაგზავნით გასწია...

## უკანასკნელი ცნობები

### ბაქოში.

მთავრობის შედგენა ჯერ არ არის დამთავრებული. სწარმოებს მოლაპარაკება სოციალისტურ პარტიებთან. მუსულმანი სოციალისტები მთავრობაში შესვლაზე თანახმანი არიან, უკეთუ მათ დაეთმობა შინაგან საქმეთა მინისტრის პორთფელი.

მუღანელები დასთანხმდნენ ჩააბარონ იარაღი და სცნონ აღერბეიჯანის მთავრობა, იმ პირობით, თუ აღერბეიჯანი დაიცავს მუღანის საზღვრებს სპარსეთის მხრიდან შახსევანების შემოსევისაგან.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

### 14 აგვისტო

### ფრანგული პრესის ცნობები.

ამერიკის წარმომადგენლები კვლავინდებურად მოითხოვენ, რომ ფრაკია ბულგარეთს გადაეცეს და არა საბერძნეთს. საზავო კონფერენცია გაჭირვებულ მდგომარეობაშია ჩაყენებული. კრიზისი დაიწყება შაბათს, როდესაც ვენიზელოსი გაიმეორებს თავის მოთხოვნილებებს იმ დათმობათა შესახებ, რომელსაც ამერიკელები მხარს არ უჭერენ. კვირას სხდომა არ შემდგარა. თუ ორშაბათს საბერძნეთმა ან შეერთებულმა შტატებმა არ დასთმო, ბულგარეთის და ოსმალეთის ხელშეკრულებანი ვერ იქნება დამთავრებული ბულგარეთიდან და ოსმალეთიდან მიღებულ ცნობებით იქ მდგომარეობა გამწვავებულია. ბულგარეთში ბალშევიკები თავისი წესწყობილების დახმარებას ცდილობენ, ხოლო ოსმალეთში—ახალგარდა ოსმალნი მოკავშირეებთან და სომხებთან ბრძოლისთვის ემზადებიან.

საბერძნეთის დელეგაციის აზრით, ამერიკის ოპოზიცია ფრაკიის საკითხში ძნელი ასახსნელია. ვენიზელოსმა პირდაპირ ვილსონს მიმართა, მაგრამ პასუხი არ მიუღია. ბერძნები მდგომარეობას კრიტიკულათ სთვლიან და სურთ, რომ საფრანგეთმა, ინგლისმა და იტალიამ მაინც დაუჭიროს მათ მხარი.

დღეს სოციალისტურმა გაზეთებმა საზავო კონფერენციის წინააღმდეგ კამპანია დაიწყეს, რადგანაც გამოირკვა, რომ ბელაკუნის დამხობაში ბრალი ედება პროფეს. კავშირებს (?) ფრანგული პრესის უმეტესი ნაწილი ამ ფაქტს აქამდე დაბეჯითებით ფარავდა. ძალაუფლების პეიდელის ხელში გადასვლისა და შემდეგ მისი დაცემის შეხახებ ერთი ფრანგული გაზეთი სწერს: „ჩვენ დიპლომატების მუშაობას ისევ განვაგრძობთ. მათსავით ჩვენც გვჯერა, რომ პეიდელის გაბატონებით უნგრეთში წესიერების დამყარება უზრუნველყოფილია, მაგრამ თუ ასეა, ჩვენ ეხლა გარანტია და გვაკლია, სახელდობრ—ვილჰელმის იმპერიის აღდგენა.

ზემო სილეზიის დასაპყრობად მოკავშირეთა მიერ გაგზავნილი ჯარი ერთი დივიზიისაგან შესდგება, რადგან თითო მოკავშირე 3 ბატალიონს გზავნის.

ბელგიის წარმომადგენლებმა გაზეთებს აუწყეს, რომ 1839 წ. ხელშეკრულების გადასასინჯად დანიშნულ საერთაშორისო კომისიის აგვისტოს 7-ის და 9-ის სხდომაზე მოისმინეს ორტსის მოხსენება ამ ხელშეკრულების პოლიტიკურ პირობებზე ბელგიის შეხედულების და ბელგიის დაცვის საშუალების შესახებ. ბელგიის არმიის წარმომადგენელმა პოლკ. გალეტმა დამატებითი მოხსენება წაიკითხა. აგვისტოს 20 შესდგება ხსენებულ კომისიის სხდომა, რომელზედაც ჰოლანდიელთა მოხსენებას მოისმენენ.

ფრანგული პრესის აზრით, უნგრეთში რუმინელებთან მომხდარი გაუგებრობა ხუთთა საბჭოს გაუბედაობის შედეგია. ივლისის 11 საბჭომ გადასწყვიტა ბელაკუნის წინააღმდეგ ჯარის გაგზავნა, ივლისის 17 კი უკან წაიღო ეს გადაწყვეტილება, რადგან გენ. ბლისსი არ დაეთანხმა ფოშის თხოვნას. ამ მოლაპარაკების დროს რუმინელებმა გადასწყვიტეს დამოუკიდებლათ იმოქმედონ და ეცადნენ, რომ უნგრეთის მთავრობის სათავეში ერცჰერცოგი იოსები სცნონ. მთავრობის უმაღლესი წარმომადგენელნი აცხადებენ, რომ ეს შეუძლებელია, რადგან ეს უფრო გაართულებს ისედაც გართულებულ საკითხს. ამ ჟამად საზავო კონფერენცია ფიქრობს ერც-ჰერცოგს იოსებს წინადადება მისცეს რეგენტობაზე უარი განაცხადოს, რათა მის ადგილზე შესაძლებელი იყოს ხალხის წარმომადგენლის დაყენება. ახლა აქ ეჭვი აღარ შეაქვთ იმაში, რომ რუმინელებმა ძალა უფლება ერცჰერცოგს გადასცეს, მიუხედავათ იმისა, რომ ფრანგული გაზეთები ამტკიცებენ, რომ ეს მოკავშირეთა მისიებმა ჩაიდინეს: რუმინელების ბუდაპეშტში შესვლის დროს მთავრობის დაცემის მოულოდნელობა და ის, რომ ერცჰერცოგი და რუმანელები შეთანხმებული იყვნენ, ცხადყოფს საქმის ნამდვილ გარემოებას. საზავო კონფერენციას მიაჩნია, რომ ხალხი ახალ მმართველს მხარს არ დაუჭერს. მან უკვე გამოსცადა ბალშევიზმი და შესაძლებელია, რომ დაკმაყოფილდეს უფრო ლიბერალურ მთავრობით, რომელშიაც ძველი მთავრობის წარმომადგენელნი ვერ შევლენ. ინგლისელები და იტალიელები იზიარებენ ამერიკელთა აზრს იმ ზომების შესახებ, რომელთა მიღებაც საჭიროა. ფრანგები კი კვლავინდებურად რუმინელებს უჭერენ მხარს. ეხლა ყველაფერი დამოკიდებულია საზავო კონფერენციის განწყობილებაზე. ამას წინად სრული რწმენა გამოსთქვეს, რომ ხუვერი შესძლებს საუკეთესო გამოსავალი მონახოს შექმნილ მდგომარეობიდან.

### ბალშევიკების ცნობები.

**მოსკოვი.** აგვისტოს 14. **ლიონი.** აგვისტოს 12. ეხლა ეჭვი აღარავის შეაქვს იმაში, რომ უნგრეთის მმართველობას ერცჰერცოგი იოსები რუმინიისგან ჩაიბარებს. საქმის ნამდვილ გარემოებას ცხადყოფს ის, რომ რუმინელების ბუდაპეშტში შესვლისთანავე პაიდელის მთავრობა უცბად გადადგა და ერცჰერცოგი იოსები რუმინელებთან იყო შეთანხმებული. მოსკოვი. აგვ. 13. რკინისგზელების კრებაზე მოხსენება გააკეთა მოსკოვის მუშათა საბჭოს თავმჯდომარე კამენევმა. უნგრეთის ამბებმა ისეთი მიმდინარეობა მიიღო, რომ უნგრეთის პროლეტარიატს ყელზე შავი ბურჟუაზიული დიქტატორი ერცჰერცოგი იოსები წამოაჯდა კისერზე. აღმოჩნდა, რომ ბურჟუაზიამ მოწყალება არ გამოიღო და თავისი სისხლის მღვრელი დიქტატურა ბოლომდე მიიყვანა. მოკავშირენი დაპირდნენ, რომ უნგრეთის მუშებს პურს მიაწვდიან, თუ საბჭოთა მთავრობას დაამხობენ, მაგრამ, რასაკვირველია, იქ პური არ გაუგზავნიათ. რუმინიელებმა კი მთელი უნგრეთი დაიპყრეს. აგვ. 13 „იზვესტია“-ს მოწინავე აშკარავებს კონტრ-რევოლიუციონერების ყალბ ლოზუნგს: „ერთი დიდი და განუყოფელი რუსეთი“:—ასეთი რუსეთი ჩვენ უკვე გვქონდა და თუ მონარქიის დროს როზგით შეშინებული და ჯაჭვით შებოჭვილი სხვადასხვა ერი, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, რუსეთის იმპერია პირველ სერიოზული შემთხვევისთანავე დაიშალა, ეხლა საბრალო ეპიგონებს სად შესწევთ იმდენი ძალა, რომ ისევ მონად აქციონ ის ხალხი, ვინც დაუვიწყარი რევოლიუციონური ბრძოლა გამოსცადა. თეთრ-გვარდიელთა ბელადები თავის შეუგნებელ საქმეებში ფიქრობენ მოკავშირეები დაიხმარონ. მოკავშირეები არც არიან დაინტერესებული რუსეთის „გაერთიანებასა“ და აღდგენაში. უმეტეს ნაწილად ეს ინგლისისთვის მცირე სურვილს წარმოადგენს. ძლიერი და გაერთიანებული რუსეთის სახელმწიფო სერიოზული საფრთხე იქნება ინგლისისთვის. **№-ის არმიის შტაბი.** აგვ. 10. ომსკში სამხედრო წესები გამოცხადდა. დაარსდა სამხედრო საველე სასამართლო. დახვრეტილთა გვამებს ირტიშში ყრიან. მოსკოვი, აგვ. 12. ჰელსინგფორსიდან იუწყებიან, რომ კოტკოში გაფიცულ ნავთსადგურის მუშების რიცხვი 800 (?) აღწევს. „ვიბორსკაია გაზეტა“-ს ცნობით, ინგლისში დაიწყო მეპურეთა გაფიცვა, რომელშიაც 60,000 მუშა იღებს მონაწილეობას. ამერიკაში რკინის გზის 14 კავშირმა, რიცხვით 2 მილიონმა მუშამ მოთხოვნილება წარადგინა, დაუყონებლივ მოუმატონ მათ ჯამაგირები. ორგანიზაციულათ შეკავშირებულმა ამერიკის მუშებმა მოითხოვეს, მიეცეთ უფლება რკინის გზის სამართველოში დაუშვან მათი წარმომადგენელი, რათა კერძო კაპიტალი რკინის გზის მართველობიდან გაუქმებულ იქნას ეს მოთხოვნილება მუშები მზათ არიან, გაფიცვებით დაიცვან. ტურინის ქუჩებში შეტაკება მოხდა. ამერიკის კონგრესზე ითათბირეს ევროპის ფინანსიურ დახმარების საკითხზე, ლიონი. აგვ. 3. ამერიკის რადიო გადმოგვცემს, რომ ხუთთა საბჭოსთვის უკანასკნელ ნოტაზე, რომელიც რუმინელებს გაეგზავნა, პასუხი არ მიუღიათ. ლიონი. აგვ. 12. რუმინიამ, რომელმაც ყოველივე ხელში ჩაიგდო, ანგარიშს არ უწევს დაპირებებს და მოკავშირეების მუქარას. მოკავშირეებს კი არ ყავთ საკმაო სამხედრო ძალა, რომ რუმინიაზე გავლენა მოახდინონ.

# ახალი ამბები

**1 სექტემბერს, სალამოს 6 საათზე ცენტრალური კომიტეტის ბინაზე დანიშნულია საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტიის საკონტროლო კომისიის სხდომა.**

✦ **რკ. გზის ადმინისტრაციის ძველი ადათჩვეულების ნიმუში.** გუშინ ჩვენს რედაქციაში შემოვიდა დამფუძნებელი კრების წევრი სარდიონ თევზაძე და შემდეგი გვიამბო: 13 აგვისტოს, დაახლოვებით ღამის ორი საათი იქნებოდა, ბორჯომიდან მომავალ მატარებლით (№ 20) წამოვედი თფილისში. ხაშურის სადგურის ბილეთის სალაროში ავიღე მე 2 კლასის ბილეთი, რაშიაც გადავიხადე 50 მან. ბილეთისთვის არ დამიხედნია, ისე ჩავიდე ვაგონში. სადგ. მცხეთამდე ჩემთვის ბილეთი არავის არ უთხოვია; მცხეთას რომ გამოვშორდით მომთხოვა ბილეთი ბ. რევიზორმა, კონდუქტორის თანადასწრებით. ბილეთი რომ მივაწოდე, ბ. რევიზორმა განმიცხადა, რომ ჩემი ბილეთი არის მე-3 კლასის და არა მეორესი—ამისთვის „პერეხოდნოი“ უნდა გადაიხადოვო. ასეთმა მოულოდნელმა განცხადებამ მგზავრებზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, ალბათ ... უწესოება ... დენია, რომ მესამე კლასის ბილეთით მეორე კლასში ჩამჯდარიყო. ... შეცდომით ან მოტყუებით მოუციათ მესამე კლასის ბილეთი მეთქი. წარმადგინ... თფილისის სადგურზე, რომ გადამეხადა და... წესებული გადასახადი. ერთი ახალგაზრდ... შეუდგა კვიტანციის წერას, მაგრამ რა ბი... ლეთს დახედა, გაკვირვებით წამოიძახა: ... ხომ მეორე კლასის ბილეთიაო. ისიც გამო... ირკვა, რომ ბილეთი ღირებულა 43 მ., მ... კი 50 მან. გადამახდევინეს ხაშურში.

დამფ. კრ. წევ. თევზაძის თავგადასავალ... სავსებით არ ვბეჭდავთ ამ ჟამათ. თავ... ხედი და იქნებ ანგარების მოყვარე რევიზო... რი, რომლის გვარია რევიშვილი და ბატო... ნი ობერ-კონდუქტორი, ალბათ დათხოვნილ... და პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი, მაგ... რამ როდის შეიგნებს ადამიანის და მოქალა... ქის თუ არა, მოხელის მოვალეობას მაინ... ჩვენი რკინის გზის აგენტები?

✦ **გაუქმდა** მთავრობის დადგენილები... სად. ყვირილიდან სად. ფოთსა და ნატანებ... მდე სიმინდის გადაზიდვის შეზღუდვა.

✦ **უსახელო წერილი.** 9 აგვისტოს, საღა... მოს 9 ს. ძეგველოვების თევზის მაღაზია... ახალგაზრდამ შეიტანა უსახელო წერილ... რომელშიაც უცნობები მოითხოვდნენ ძეგვე... ლოვებისაგან 3 მილიონ მანეთს, წინააღმდე... შემთხვევაში ემუქრებოდნენ სიკვდილით. ძ... გველოვებმა ეს ამბავი ტელეფონით აცნობ... მილიციას. მილიციამ შესძლო წ... რილის გამგზავნთა დატუსაღება. ისინი აღ... მოჩნდნენ: ირაკლი დეკანოზოვი და ვლად... მერ გოცირიძე.

✦ **ქურდების შეპყრობა.** სისხლის სამარ... თლის მილიციამ შეიპყრო, ლანჩხუთის ქალ... ქის თავის ამხანაგის იმნაძეს დეპეშის თანა... მად, კონსტანტინე ანტონის ძე დუდიკი ... გიორგი ინნოჩენცი. მათ ბრალდებათ კედლ... საათის მოპარვა.

✦ **ამიერ კავკასიის** კერძო უნივერსიტ... ტისაგან დღემდე გაცემული მოწმობანი ... დიპლომები კბილის ექიმის და ფარმაცევტ... წოდების მინიჭების შესახებ, მთავრობამ დ... ადგინა, აღიარებულ იქნას კანონიერ და ნა... დვილ მოწმობებათ და დიპლომებათ.

✦ **ახალქალაქელ სომეხთათვის.** საქ. ... დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივთან ა... სებული საქართველოს სომეხთა სექცია ... ბათს, 16 აგვისტოს, ტრამვაის მუშათა ბა... ში მართავს დიდ საღამოს ახალქალაქე... დაზარალებულ სომეხთა სასარგებლოთ.

✦ **დანიშვნა.** ი. ჩიქოვანი დაინიშნა ფ... ნანსთა სამინისტროს საბჭოს წევრათ.

✦ **ძველი სასურსათო საბჭოს** ლიკვიდ... ცია, მთავრობის დადგენილებით, უნდა მოა... დინოს ახალმა სასურსათო საბჭომ იმ წესი... როგორც ეს არის აღნიშნული სახელმწიფ... კონტროლის დასკვნაში ამ საკითხზე.

✦ **ლექცია.** 15 აგვისტოს ავლაბრის ს... ხალხო უნივერსიტეტის შენობაში წაიკითხ... ვენ უფასო ლექციებს ქართულ ენაზე: ექი... ტურიაშვილი „სახალხო ჰიგიენა“, ინჟ. ... ალშიბაია,—„ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე“. ... საწყისი საღ. 6 ს,

✦ **კომისრის დათხოვნა.** ქალაქის გამგე... ბის დადგენილებით სამსახურიდან დათხო... ნილ იქნა მე-6 უბნის კომისარი ჯაჯანაშ... ლი. მის ალაგას დაინიშნა მე-10 უბნის კ... მისრის ამხანაგი ვონჩაძე.

✦ **სატეხნიკო საზოგადოების** დასახმარე... ლათ მთავრობამ გადასდო 10 მილ. ფონდ... დან 40,000 მან.

### პროვინციის ქრონიკა.

**ქ. გორში.** კვირას, 17 აგვისტოს შესდგ... ბა მაზრის სოც.-დემ. ორგანიზაციების ც... ტრის სხდომა ფრიად საყურადღებო და ... ჩქარო საკითხების განსახილველად. თავმჯდ... მარე სთხოვს ორგანიზაციების წარმომა... გენლებს აუცილებლად დაესწრონ ამ სხდ... მას. სასურველია აგრეთვე დასწრება სამ... ზრო ერობის სოც.-დემ. ფრაქციის წევრებ... სა. სხდომა გაიხსნება დილის სრულ 10 ... ცენტრის ბინაზე (ერთობის ქ. № 15).

### კ რ ე ბ ე ბ ი.

საქართველოს რესპუბლიკის ექიმთა პრო... ფესიონალური კავშირის თფილისის განყო... ფილების საზოგადო კრება მოხდება დღე... 15 აგვისტოს, საღამოს 7 ნახ. საათზე ... ერობის ბინაზე (რუსთაველის პროსპ. № ...

## დამფუძნებელი კრების და მაზრის ერობის არჩევნები

**აბასთუმანი.** 13 აგვისტოს ვარხნის რა... ონში 3196 ამომრჩეველიდან მონაწილეო... მიიღო 3076. № 1 მიიღო 2937. სხვა ადგ... ლებშიც სოც.-დემოკრატიული სია პირვე... რიგში მიდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**დუშეთი.** 13 აგვისტოს, დამატებითი არჩევნებში ყაზბეგის რაიონში პირველმა ნომერმა მიიღო 1111, მეორემ 62, მეხუთემ 67. ზემომთიულეთში პირველმა მიიღო 1194, მესამემ 2, მეხუთემ 1, მეცხრემ 2.

## სატარიფო პალატა, მისი მუშაობა და მნიშვნელობა

(მანდელშტამის მოხსენება)

11 აგვისტოს შრომის ბირჟის შენობაში მუშათა აუდიტორიის წინაშე და პროფესიონალურ კავშირებში მომუშავეების თანადასწრებით მ. ნ. მანდელშტამმა წაიკითხა მოხსენება სატარიფო პალატის და მის მნიშვნელობის შესახებ.

მომხსენებელი ამბობს, რომ როდესაც ვეხებით ახლად დაარსებულ სატარიფო პალატის მუშაობას, ვაფასებთ მას და ვლაპარაკობთ მის მნიშვნელობაზე საქართველოს მუშათა კლასისთვის, ჩვენ უნდა გამოვდიოდეთ იმ საერთო პრინციპებიდან, რომელიც ხელმძღვანელობს საერთოდ პროფესიული მოძრაობა. მუშათა კლასის ტაქტიკა არ შეიძლება იყვეს ერთი ყველა დროისათვის. ის სხვადასხვანაირია და უნდა იყვეს სხვადასხვანაირი იმ კონკრეტიულ პირობების და მიხედვით, რომლებშიაც უხდება მუშაობა მუშათა კლასის ამა თუ იმ რაზმს. დასავლეთ-ევროპის და რუსეთის მუშათა მოძრაობამ გაიარა რა პირველი საფეხური სტიქიური, ბუნტარული „სტაჩკიზმის“ და გაიარა რა მეორე ფორმაც „წმინდა ეკონომიზმისა“, მივიდა იმ გზაზე, რომლიდანაც ის დღესაც არ გადმოდის. მუშათა მოძრაობა გახდა კლასობრივ-ორგანიზაციული და მან შეძლო ერთ მიმდინარეობაში მოექცია ორი ნაკადი პოლიტიკური და ეკონომიური ბრძოლისა. თავის განვითარების ამ უმაღლეს ფაზაში პროფესიული მოძრაობა უთანხმებს ყოველ თავის ნაბიჯს, ყოველ კონკრეტულ შეხედულებას მთელი მუშათა კლასის ინტერესებს და თავის პრაქტიკაში ხმარობს, როგორც უმაღლეს კრიტერიუმს ერთად ერთ პრინციპს: თუ ეს ხაზი მოქმედებისა აახლოვებს მუშათა კლასს მის საბოლოო მიზანთან—სოციალიზმთან—ის მოსაწონია. წინააღმდეგ შემთხვევაში ის უარსაყოფია. კლასიურ-ორგანიზაციული, შეგნებული მუშათა მოძრაობისთვის სავალდებულოა ტაქტიკური ხაზის გამოსამუშავებლად აწონ-დაწონვა დროს და ადგილის ყველა პირობებისა, ანგარიშში მიღება ეკონომიური, პოლიტიკური და მრავალი სხვა ფაქტორებისა, კლასიურ-ორგანიზაციული მოძრაობისთვის სავალდებულოა, დამორჩილება კერძო ჯგუფობრივი მიზნებისა მთელი მუშათა კლასის ინტერესებისადმი და დროებითი სარგებლიანობის უარყოფა მუშათა განვითარების და ორგანიზაციის გრძელი პროცესის წინაშე. გამოვდივართ რა ამ პრინციპებიდან, ჩვენ უნდა განვიხილოთ კითხვა სატარიფო პალატის შესახებ. აუცილებლივ საჭიროა უპირველესად ყოვლისა გამოვარკვიოთ საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა და არა მარტო მისი, არამედ მთელი ქვეყნის მდგომარეობაც. ეს გამოკვლევა აღმოაჩენს, რომ ამ ომის გამო მოსპობილია ყველა ღირებულებანი, რომლებიაც საზოგადოება ჰქმნიდა ათეული წლების განმავლობაში, ხალხთა საწარმოვო ძალები დაცემულია და ეროვნულ კაპიტალს ძალა არ შესწევს აღადგინოს დანგრეული წონასწორობა. უნდა აღინიშნოს ეროვნული კაპიტალის გაკოტრება, როგორც მწარმოებელი ფაქტორი იგი მოისპო, როგორც გამარჯვებულ, ისე დამარცხებულ ქვეყნებში. ახალი გარემოება მთელი მუშათა კლასის წინაშე აყენებს კითხვას, მრეწველობის განვითარების აქტიურ დახმარებისას, ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში ჩარევისას. ყველა ამ კითხვებს უკვე ასე თუ ისე სჭრის პროლეტარიატი, იქ, საცა მან ხელთ იგდო სახელმწიფო მართველობა, ის ადგება გზას მეურნეობის სახელმწიფოებრივის გზით მოწყობისას (რუსეთი), სხვაგან, საცა პროლეტარიატს არა აქვს სახელმწიფო მართვა-გამგეობა, მაგრამ შესაძლებლობა აქვს საკმაო გავლენა მოახდინოს მასზე, იქ სახელმწიფო იძულებული ხდებოდა მიეზიდა მუშათა კლასი მრეწველობის სახელმძღვანელოდ (მაღაროების ნაციონალიზაცია ინგლისში). რაც შეეხება საქართველოს, თუმცა სახელმწიფოს სათავეში სდგას მუშათა პარტია, მაგრამ იმის თქმა, რომ საქართველოში ძალა-უფლება ეკუთვნოდეს მხოლოდ და მხოლოდ პროლეტარიატს, ამის თქმა არ შეიძლება, რადგანაც საქართველოს მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა შესდგება გლეხობისაგან, რასაც მმართველი პარტია ანგარიშს უწევს და საქართველოს პროლეტარიატსაც მუდამ უნდა ახსოვდეს ეს, როცა ჩარეულია საწარმოვო ძალთა მოგვარების საქმეში, რომელნიც აქაც ისევე, როგორც სხვაგან, მეტად დანგრეულია. ამავე დროს პროლეტარიატი უნდა სცდილობდეს, რომ ეს ახალი მდგომარეობა მისი კლასიური ბრძოლის წინააღმდეგ არ იყვეს მიმართული. სატარიფო პალატა, რომელიც შრომის სამინისტროსთან დაარსდა 25 მაისიდან, შეიძლება გახდეს კლასობრივ ორგანიზაციულ პროფესიულ მოძრაობის უმაღლეს ფორმად და აგრეთვე საშუალებად საქართველოს მუშათა კლასის ქვეყნის მეურნეობაში ჩარევისა. აქამდე მუშათა კლასი სცდილობდა თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას განუწყვეტელი გაფიცვების საშუალებით. მუშებს მწარმოებლები ამაში ხელსაც უწყობდენ, რადგანაც ყოველი ახალი მომატება მათ საშუალებას აძლევდა საგნებზე ფასების აწევისას. მუშები კი თავის მდგომარეობას აუმჯობესებდნენ მეტად მცირე ხანს, რადგანაც საგნებზე ფასების აწევა სცემდა ბონების ფასს და მათი რეალური სამუშაო ქირაც ეცემოდა. ამ პოლიტიკის გამო მეტად იჩაგრებოდა ჩამორჩენილი პროფესიის მუშები, რადგანაც ისინი მცირე ხნითაც, დროებითაც ვერ იუმჯობესებდნენ თავის მდგომარეობას. მოწინავე მუშებმა შეიგნეს, რომ საქმის სიმწვავე არა იმაში მდგომარეობს, რომ სამუშაო ქირა მცირეა, არამედ იმაში, რომ საქონელი ცოტაა, რომ სპეკულიაცია იზრდება, რომ მუშები შეუკავშირებელია, და თუ ეს უკანასკნელი არ მოეწყო, ისე არაფერი იქნება. აქედან დაიბადა იდეა სატარიფო პალატისა. ჩვენმა სატარიფო პალატამ უპირველესად ყოვლისა თავის მიზნად დაისახა ცხოვრების გაძვირების პროცენტის გამოკვლევა. ამისთვის არსებობს ორი საშუალება: ერთი ეგრედ წოდებული საბიუჯეტო წიგნებიდან, საცა მუშებს შეაქვთ თავის შემოსავალ-გასავლის ანგარიში. ამგვარად ირკვევა განსაზღვრულ პერიოდში საცხოვრებელი მინიმუმი და მის შემდეგ დროსთან შედარებით ვიგებთ გაძვირების პროცენტს. ჩვენმა სატარიფო პალატამ დასტოვა ეს გზა, რადგანაც სა პროფესიო კავშირებმა თავისი ინტერესების გამო არ შეავსეს ის საბიუჯეტო წიგნები. სატარიფო პალატამ გამოანგარიშების საფუძვლად დაუდო პრინციპი „ფასების ინდექსისა“ (სია) გაძვირების პროცენტები ირკვევა პირველ მოთხოვნილების საგნების გაძვირებისდა მიხედვით. ეს სია, რომელიც დამტკიცებულია, არის საზომი გაძვირებისა. პროც. ცხოვრების გაძვირებისა 1 აგვისტოსთვის იყო 35 და ყველა პროფესიებზე ეს მომატება გავრცელდა (35 პროც.). აქედან სჩანს, თუ რა უპირატესობა აქვს სატარიფო პალატას: ის აყენებს და სწყვეტს საკითხს მთელი კლასისთვის ერთად, და არა მის ამა თუ იმ ნაწილისთვის თამბაქოს მუშების მოთხოვნილების შემდეგ, რომ მათ მოემატოთ 100 პროც. სატარიფო პალატის მუშათა სექციამ აღძრა კითხვა თამბაქოს მრეწველობის გამოკვლევისა. სატარიფო პალატა ასე აკავშირებს პროლეტარიატის კლასობრივ საჭიროებებს მთელი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებასთან. სატარიფო პალატა აყენებს კითხვებს სპეკულიაციასთან ბრძოლისა, წარმოების ზოგიერთი დარგების სახელმწიფოს მიერ მოწყობისა და მუშებისათვის იაფი საქონლის მიცემისას. და ბოლოს, სატარიფო პალატას შეუძლია გახდეს ცენტრი მუშათა კლასის ყველა მხარის და ცხოვრების შესწავლისა. თუ საქართველოს მუშათა კლასი არ შეხედავს სატარიფო პალატას როგორც მარტო მომატებების ლაბარატორიას, არამედ ყველაფერით დაეხმარება მას, მას შეუძლია გადაიქცეს მუშათა მოძრაობის დიდ და სასარგებლო მოვლენად.

## სომხეთის პარლამენტში

ხატისოვის სიტყვიდან.

როცა მთავრობის თავმჯდომარე ა. ი. ხატისოვი სომხეთის რესპუბლიკის საგარეო მდგომარეობას შეეხო, სხვათა შორის შემდეგი სთქვა:

მთავრობა ცდილობდა, რომ საქართველოსთან დაემყარებინა კეთილმეზობლური განწყობილება, ამიტომ მთავრობამ მიიღო მონაწილეობა ამიერ კავკასიის კონფერენციაში, რომელსაც უნდა მოეგვარებინა სადავო კითხვები ჩვენსა და ჩვენ მეზობლებს შორის. კონფერენციამ დროებით შესწყვიტა თავის მუშაობა და როგორც გამოირკვა, სექტემბრამდე იგი ვერც განაახლებს თავის სხდომებს, თუმცა მთელი რიგი გადაუდებელი კითხვებისა, დაუყონებლივ მოითხოვს გადაჭრას. ამიტომ მთავრობა დაეთანხმა საქართველოს მთავრობის 31 ივლისის წინადადებას, რომ მოწვეულ იქნეს სომხეთ-საქართველოს კონფერენცია სადავო საკითხების გადასაჭრელად ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ამოვწუროთ ყველა სადავო საკითხები საქართველოსთან და დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს შესაძლებელია.

აძერბეიჯანიდან ჩვენ გვყოფს ყარაბაღის კითხვა, რომლის შესახებ ჩვენ გადავწყვიტეთ არავითარ დათმობაზე არ წავიდეთ. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ „შეიარაღებული ზავის“ მდგომარეობიდან აუცილებელია გამოვიდეთ აძერბეიჯანთან მოლაპარაკების საშუალებით, როგორც კი დადგება ამისთვის სასურველი პირობები.

შექმნილ მდგომარეობიდან გამოსასვლელად სამი გამოსავალი იყო: ერთი—დათმობა ან შეთანხმება, მეორე—არბიტრაჟი და მესამე—ცდის პოზიცია და კითხვების ღიად დატოვება. ემყარებოდა რა მცხოვრებთა აშკარად გამოთქმულ ნებისყოფას, პრესასა და საზოგადოებრივ აზრს—მთავრობა აქამდე მიდიოდა მესამე გზით. რასაკვირველია, ამითი ზარალი მოსდიოდა ჩვენ ეკონომიურ ინტერესებს და სანაპირო მშვიდობიანობას, მაგრამ ახალი სახელმწიფო ხომ ასე იქმნება ყველაფრის მოკლებით და მსხვერპლით.

ჩვენი დამოკიდებულება რუსეთის შინაურ სამოქალაქო ომისადმი იყო სრულიად ნეიტრალური. საქართველომა და აძერბეიჯანმა სამხედრო თავდაცვითი კავშირი შეჰკრეს მოხალისეთა წინააღმდეგ. სომხეთსაც მისცეს წინადადება ორი კვირის განმავლობაში შეერთებოდა ამ კავშირს. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ჩვენ საფრთხე მოგველოდა არა ჩრდილოეთიდან, არამედ სამხრეთიდან და ცხოვრებამ ეს მალე დაამტკიცა. ჩვენ გარანტია მივეცით ჩვენ მეზობლებს, რომ ნეიტრალიტეტს დავიცავთ, თუ მათ შეტაკება მოუხდებათ მოხალისეთა ჯართან და დავპირდით, რომ დიპლომატიურის გზით პარიზის კონფერენციის საშუალებით დავიცავდით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობას.

## სახალხო გვარდიისათვის

თფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა მომღერალ-მგალობელთა გუნდმა დაარსებულმა ჩ. ქურთიშვილის მიერ 9 მარტს, 1919 წ. ფოსტის კანტორის დარბაზში, (საკუთარ სცენაზე), სახალხო გვარდიის სასარგებლოთ მოაწყო საღამო-კონცერტი. მთელი შემოსავალი იყო 8794 მანეთი. გასავალი 3728 მან. წმინდა შემოსავალი 5065 მ. 80 კ. რაიც მარტშივე გადაეცა უკლებლივ სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს. ნივთიერი დახმარება აღმოგვიჩინა ძმ. ტარასაშვილებმა 32 ბოთლი ღვინით და ფოსტა-ტელ. პროფეს. კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ თავის ფურნიდან 387 მანეთის ღირებული პურის შემოწირვით.

მონდობილობით **ჩიტო ქურთიშვილი.**

## რკინის გზაზე

**რკინის გზის მილიციის თავგასულობა.**

დიდი ხანია გაზეთებში იწერება მილიციის თავგასულობაზე, მაგრამ ეტყობა რკინის გზის მილიცია გაზეთებს ყურადღებას არ აქცევს.

ჩვენ გვახსოვს, თუ რა სიმხეცეს და სისასტიკეს მიმართავდა ხოლმე ძველი პოლიცია ხალხის და რევოლიუციონერების წინააღმდეგ. მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, რაც მე გადამხდა 30 მკათათვეს თფილისის სადგურზე, შედარებით ჩვენ მილიციონერებთან ძველი „გარადოვები“ ანგელოზებათ ჩაითვლებიან.

საათის ათის ნახევარი იქნებოდა კახეთის მატარებლისაკენ მივესწრაფებოდი. ვაგონში ბარგი შეტანილი მქონდა და მეშინოდა სხვა პატრონი არ გამოსჩენოდა ჩემს ბარგს. მივედი სადგურის ბაქანთან ბაღის მხრიდან, სადაც ეტლების გასაჩერებელი ადგილია და დავაპირე ბაქანზე გასვლა, რისაც სრული უფლება მქონდა. ჯერ როგორც მგზავრს, მერე როგორც რკინის გზის მოსამსახურეს და მესამე, როგორც რკინის გზის პროფესიონალური კავშირის ცენტრალური გამგეობის წევრს, მაგრამ ჩემმა კანონიერმა საბუთებმა და ხვეწნამ არავითარი გავლენა არ იქონია, მოდარაჯე კარებთან მდგომ მილიციონერზე. ჩემ წინ გაირბინა ახალგაზრდა ქალმა, რომელიც მილიციონერმა ხმა ამოუღებლივ გაუშვა ბაქანზე—მეც მივყე უკან, მაგრამ მილიციონერმა მორთო ყვირილი—სად მიეთრევი, „კუდა ლეზიშო“. ჩემს პასუხზე, რომ მე რკინის გზის მოსამსახურე ვარ და ბილეთიც მაქვს, მან არავითარი ყურადღება არ მომაქცია—მტაცა ხელი და დამიწყო ჯიჯგნა. მემუქრებოდა: მოდი აქ, მე შენ გაჩვენებ სეირს. იძულებული ვიყავი დავმორჩილებოდი და შევყევი იქვე პატარა ბუდკაში, სადაც ბლომად შეგროვილიყვნენ მილიციონერები. ცოტა არ იყოს, მე იმედი მომეცა, ვიფიქრე იქ უფროსს ვნახავდი და საქმე გამოირკვეოდა. მაგრამ აქაც მოვტყუვდი: წამოცვივდნენ ადგილებიდან და ყველამ სათითაოთ დამიწყო კითხვა და მუქარა: მე შენ ცხვირს და პირს გაგისწორებო. ჩემს შეკითხვაზე მიჩვენეთ კომისარი თქო, ერთმა მიპასუხა: ჩვენ ყველანი კომისრები ვართ, აგერ ჩაგვხედე შენს სეირსო. ბევრი ვეცადე გამეგო ვის ხელში ჩავვარდი, სად ვიმყოფებოდი, მაგრამ მე ეს ვერ შევძელ.

აღნიშნულ ბუდკაში ძველ ჟანდარმების მიერ ვყოფილვარ დატყვევებული, მაგრამ ჩემს შეკითხვაზე მათგან პასუხი მაინც მიმიღია. საქმე უსისხლოთ არ გათავდებოდა, რომ ერთი ღვთისნიერი ახალგაზრდა არ ჩარეულიყო საქმეში, რომელსაც ჩვენებმაც მივეცი. მიუხედავათ იმისა, რომ საქმე უკვე დასრულებული იყო, მილიციონრების მხრივ ისევ ბუტ ბუტი და მუქარა ისმოდა; რას მიპირობდნენ, რა უნდოდათ ჩემგან ვერ წარმომედგინა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ „დაზელვა“ მაინც არ ამცდებოდა, რომ პირველი რაიონის სახალხო გვარდიის შტაბის წევრი არ ვყოფილიყავი. სწორეთ ამ გარემოებამ გადამარჩინა გვერდების ჩამტვრევას. ამასობაში ბუდკაში შემოვიდა აფიცრის ფორმაში გამოწყობილი, სახე აპარხლებული, დანამდვილებით მისი ვინაობა ვერ გავიგე, მგონი კი „კომისარი“ უნდა ყოფილიყო; ეს კი ცხადია, რომ მე საქმე მქონდა მეტათ გახრწნილ და საზიზღარ პიროვნებასთან. ჩემ მოთხოვნაზე—შეეტანოთ ოქმში იმათი სახელი და გვარი, რომლებიც ცხვირ-პირის და კბილების გასწორებას მპირდებოდნენ, „კომისარმა“ მიპასუხა: წადი აქედან, მომშორდი, შენ თვითონ შეგიდგინე ოქმი და ვინ მოქცა უფლება, რომ სხვაზე ოქმი შემადგენინოვო.

მიუხედავათ იმისა, რომ კომისარის ჩემდამი მოპყრობა უკანონო და მხეცური იყო, მე ისევ გაჩუმება ვარჩიე, ვინაიდან ლაპარაკის გაგრძელებას ცუდი შედეგი მოჰყვებოდა. ბევრი კითხვების დაყენება შეიძლებოდა მომხდარი ამბის გამო, მაგრამ უმთავრესი მათში ერთი იქნება: როდის მოეღება ბოლო ასეთ თავგასულობას? არის თუ არა მოქალაქის პიროვნება უზრუნველყოფილი მხეცი მილიციონერის თავდასხმისაგან?

ამ კითხვის პასუხი იქნება ასეთი თავხედი ელემენტების ალაგმვა.

მიხ. ძამანაშვილი.

## მუშათა შორის

**სამინისტროს შეშის საწყობში.**

მიწათ-მოქმედების სამინისტროს შეშის საწყობმა დეფიციტი მიიღო და ამის გამო ის გადაეცა ქალაქთა კავშირს, რომელსაც საწყობის მოსამსახურეები აღარ მიიღო და ასე ისინი დარჩნენ ქუჩაში ულუკმაპუროთ...

რატომ იზარალა საწყობმა? როდესაც სამინისტრომ ხსენებული საწყობი გახსნა, მისი მიზანი იყო ხე-ტყის მასალა და შეშა, როგორც სხვადასხვა დაწესებულებისათვის, ისე საზოგადოებისათვის მიეწოდებინათ ხელმისაწდომ ფასებში. ამის მოწყობა-მოგვარება მიანდეს დ. კახელაძეს, რომელსაც უნდა მოეწყო საქმე ფართო და შემოსავლიან ნიადაგზე, მაგრამ, სამწუხაროთ, ეს ასე არ მოხდა. რა იყო მიზეზი დეფიციტისა? ეს მთავარი საკითხი, რომლის გამოც დიდი გაუგებრობაა და ამ გაუგებრობით ისჯებიან საწყობის მოსამსახურეები, რომლებიც არაფერ შუაში არიან. გული ბოლმით გევსება, როდესაც გისაყვედურებენ: იქ იყავით, უყურებდით, რომ საქმე ილუპებოდა და ხმას არ იღებდით. მეტის ღირსიც შეიძლება ყოფილიყვნენ მოსამსახურეები, რომ ზოგიერთ მათგანს მართლა არ აღემაღლებინოს ხმა და არ ეთქვას ვისთანაც ჯერ არს, თუ რა ხდებოდა და როგორ მიდიოდა საწყობის საქმე. დიახ, ბევრჯერ იქნა განცხადება შეტანილი სამინისტროში სიტყვიერათ, თუ წერილობით, მაგრამ რჩებოდა ჩვენი ხმა ხმათ მღაღადებელისა უდაბნოსა შინა! ბოლოს იძულებულიც კი გავხდით დამფუძნებელ კრების ს.-დ. ფრაქციისთვის მიგვემართა. მერე რა გააკეთა დამფუძნებელ კრების კომისიამ? როგორი საბუთები იქნა შეგროვილი, თუ რამ დალუპა ხსენებული საქმე? სასურველია გაეცნონ დამფუძნებელ კრების კომისიის შეგროვილ მასალას და მაშინ დარწმუნდებიან ისინი, ვინც ჩვენ გვისაყვედურებენ. მაშინ დარწმუნებული ვარ, აღარ ექნება ადგილი იმ გაუგებრობას, რომლის წყალობითაც უდანაშაულო ადამიანები ისჯებიან. რა შუაშია აქ უბრალო მოსამსახურე, როდესაც მეთაურებმა საქმეს შეუფერებელი გამგე ჩაუყენეს და თუ მივუთითეთ გამგის უვარგისობაზე მეთაურებს, ისინი ყურსაც არ იბერტყდენ. ვისაც არ უნდა დაბრალდეს ხსენებული საქმის დეფიციტი ანუ დაღუპვა, სულ ერთია -ფაქტი ფაქტათ დარჩება

მაგალითად ასეთი ფაქტის მოწმე ვარ: შეშის საწყობის 6 თვის არსებობის შემდეგ მოდის ვინმე დეკანოზი და დ. კახელაძეს სთხოვს დახმარებას, რომ გამოარკვიონ, თუ რა ჯდებოდა ადგილობრივ საჟენი შეშა; ეს იმ დროს როდესაც უკვე თითქმის მილიონი მანეთის „ობოროტი" იყო. მანამდე კი არავინ იცოდა, თუ რამდენი ჯდებოდა შეშა ადგილობრივ საჟენი, არც სატყეო განყოფილებამ, არც გამგემ და არც სხვამ. აი ასეთი ფაქტების შემდეგ ცხადია ვინარის ღირსი საყვედურის, თუ სასჯელის. ყოველ შემთხვევაში, არა ისინი, ვინც ყველა ამისთანა პასუხისმგებლობის გარეშე იდგნენ, მაგრამ ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში ყველაფერი შესაძლებელი ყოფილა! ნათქვამია,—ცხენს ვერა დააკლეს და უნაგირს დაუწყეს მტვრევაო.

ი. ავაქოვი.

---

### თფილისის ტრამვაი.

როდესაც ქალაქის საბჭოში ირჩეოდა საკითხი ტრამვაის ბილეთზე ტარიფის გადიდების შესახებ, ტრამვაის მუშა მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის წარმომადგენლებმა ხაზგასმით აღნიშნეს უხერხულობა ტრამვაიზე 50 კ ქაღალდის ფულის ხმარებისა და ითხოვეს არ ყოფილიყო 50 კ. ხმარება ტრამვაიზე მიღებული და ეს შესაძლებელი იყო ბილეთზე 50 კ. დაკლებით ან მომატებით და, თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, მაშინ მხოლოდ ტრამვაიზე სახმარებლად ქალაქს გამოეშვა 50 კ მაგიერ შესაფერი ნიშნები. მიუხედავათ პროფესიონალური კავშირის წინადადებისა, შემოღებულ იქნა ხმარებაში 50 კაპ., რაც იწვევს დიდ უხერხულობას ტრამვაით მოგზაურობის დროს. ყოვლად წარმოუდგენელია კონდუქტორებმა იქონიონ იმდენი ხურდა ფული, რომ ყველა მგზავრები დაკმაყოფილდეს და თვით მგზავრები კი, ნაკლებად ცდილობენ იქონიონ ხურდა ფული. ზოგი დღევანდელი წყობილებით უკმაყოფილო ელემენტები, პოულობენ მიზეზს, ყოველივე დანაშაულს კონდუქტორებს აწერენ და ვინ იცის რა გვარი ეპიტეტებით არ ამკობენ ამ უკანასკნელთ. ამგვარად ტრამვაის ნორმალური მოძრაობა ფერხდება და ფართო საზოგადოება უკმაყოფილო რჩება. რომ ეს უხერხულობა თავიდან იქნას აშორებული, საჭიროა ქალაქმა გამოსცეს მხოლოდ ტრამვაიზე სახმარებლად 50 კ. ნიშნები ან სრულიად მოისპოს ეს ფასი.

X

## ს.-დ. პარტიაში

**თფილისი.** 31 ივლისს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა.

პარტიული „იაჩეიკების" მოწვევის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ჩუთლაშვილი, რომელიც იმ აზრისაა, რომ იაჩეიკების კრება ცალკე ნუ იქნება მოწვეული, ეს მოხდეს შეერთებულად. კოლექტივი ეთანხმება მის მოსაზრებას და იაჩეიკების კრებას უერთებს ფართო პარტიულ კრებას, რომელიც კოლექტივის გადაწყვეტილებით უნდა მოხდეს ხოლმე თვეში ორჯელ.

სომხურ ეროვნულ საბჭოს სექციის მატერიალურ პირობების გასაუმჯობესებლად კოლექტივმა გადასწყვიტა შეაგროვოს ფული, რომელიც მიენდო ამხ. უმბრიევს, გალუსტოვს, გრიშჩენკოს და დ. ჩუთლაშვილს.

პროპაგანდისტის მოწვევის შესახებ კოლექტივმა დაადგინა: მიეცეს წინადადება თფილისის კომიტეტს, რათა მან მიიღოს მხედველობაში ავლაბრის რაიონისთვის პროპაგანდისტების გამოგზავნა. კოლექტივმა, აგრეთვე მოიწვია წრეებში სამუშაოდ ამხ. აკაკი ტყემალაძე.

იაფ ფასიან სასადილოს გახსნის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ნ. სულუხია. მომხსენებელი წინადადებას იძლევა, თფილისის ქალაქის თვითმართველობის წინაშე აღძრულ იქნას შუამდგომლობა, რათა ეს მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ იქნას. კოლექტივმა ერთხმად მიიღო და დაავალა ამხ. ნ. სულუხიას, ნ. ჭედლიძეს და მ. წივწივაძეს მოელაპარაკონ ქალაქის გამგეობას.

კოლექტივს ემცნო შემდეგი: მესამე რაიონთან არსებულ ქალთა ორგანიზაციასთან დაარსდა ქალთა არტელი, რომლის მიზანია თავის გარშემო შემოიკრიბოს ავლაბრის მუშაქალები, გამოუძებნოს მას სამუშაო. ამ ქალთა არტელმა კიდევაც აირჩია ხელმძღვანელი ორგანო. კოლექტივი ამ მოვლენას სიამოვნებით შეხვდა და აღუთქვა ქალთა არტელს დახმარება.

ამხ. მ. წივწივაძეს მოხსენების შემდეგ გამოირკვა, რომ ავლაბრის რაიონში საკმაოდ არის ნოქარ-შეგირდების რიცხვი, რომლის შეკავშირებას აუცილებლად მოითხოვს მდგომარეობა. კოლექტივმა გადასწყვიტა შეაკავშიროს ნოქარ შეგირდები და შემოიკრიბოს თავის გარშემო. ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად აირჩია ამხ. ნ. ჭედლიძე და დ. ჩუთლაშვილი.

დასასრულ, კოლექტივმა საჭიროდ სცნო სომხურ ეროვნულ საბჭოს მომავალ საკანდიდატო სიაში შეტანილ იქნეს ამხ. არ. უმბრიევი, თუ სომხურ სექციას ეს მიაჩნია შესაძლებლად. სომხურ სექციის წევრმა გალუსტოვმა ამაზე თანხმობა განაცხადა.

მდივანი ოლ. ბ—ძე.

---

**სამტრედია.** 1 აგვისტოს შესდგა კოლექტივის ჩვეულებრივი კრება.

რაიონული კოლექტივიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ლ. ბ ძე ის აცნობს კრებას კომიტეტის დადგენილებებს, ყველა რაიონში არსებული ორგანიზაციების და კომიტეტის რეორგანიზაციის შესახებ, აგრეთვე მუშათა საბჭოს რეორგანიზაციის შესახებ. მოხსენებით კოლექტივი დაკმაყოფილდა. შემდეგ მოხსენებას აკეთებს კომისიის წევრი შარიმან დოლიძე.

კოლექტივმა მცირე კამათის შემდეგ დაადგინა: პ. კიკნაძე იქნეს გარიცხული პარტიიდან და ეს იქნეს გაზეთში გამოქვეყნებული და ეცნობოს კონდუქტორების ორგანიზაციას.

გაკეთდა ყველა „იაჩეიკებიდან" მოხსენებები და აღმოჩნდა, რომ ზოგ ორგანიზაციაში კიდევ არ დამთავრებულა რეორგანიზაცია და რეგისტრაცია, რაც დაევალა ყველას მორიგ კრებისთვის დაამთავრონ.

მდივანი აცნობს კრებას, რომ დღემდე კომიტეტში ირიცხებოდა 27 წევრი რაც ხელს უშლიდა ზოგჯერ საკმაო რიცხვის გამოუცხადებლობის გამო მუშაობას, ამიტომ კომიტეტმა შეამცირა ის და დააწესა წარმომადგენელი კომიტეტში ირჩეოდეს 200 წევრ. ერთი (ნაცვლად 100 წევრ.) ამრიგათ სამტრედიის საკოლექტივომ, სადაც ირიცხება 1248 წევრი, უნდა აირჩიოს 6 წარმომადგენელი.

ამხ. გიორგი დუნდუა მოაგონებს კრებას, რომ უნდა შესდგეს სამაზრო კომიტეტი. მაშინ სარაიონო აღარ იქნება საჭირო და ქალაქის კომიტეტისთვის კი 6 კაცი საკმაო არ იქნება. ამიტომ საჭიროა ეს კითხვა დარჩეს ღიათ და შეკითხულ იქნას ქუთაისის კომიტეტში, თუ რა მდგომარეობაშია სამაზრო კომიტეტის შედგენის საქმე.

კოლექტივთან არსებულ კომისიას დაევალა მ. ჯანელიძის საქმის გამორკვევა.

ლევანიძე.

## პროვინცია

**გურია.** საზოგადოებებში ხდება მიტინგები, რომლებზედაც გამოდიან მომხსენებლები და ხალხს ყველა საჭირბოროტო კითხვებს უხსნიან და უმარტავენ. სამაზრო ერობის გამგეობა დიდ ყურადღებას აქცევს ხალხში იდეურ მუშაობას. ასეთი მიტინგები უკვე მოხდა რამოდენიმე საზოგადოებაში. 1 აგვისტოს დ. ჩოხატაურში მოწვეული იყო დიდი სახალხო მიტინგი. მომხსენებლებათ გამოვიდნენ ამხ. ალექსანდრე ჟორჟოლიანი და გიორგი შილაკაძე. ორივე მომხსენებელი შეეხო საქართველოს შინაურ და საგარეო მდგომარეობას. ხალხი მოხსენებებით კმაყოფილი დარჩა. მიტინგზე გამოვიდა ორი ბალშევიკი, რომლებიც ჩვეულებრივ ლათაიებს მოჰყვნენ. მომხსენებელმა ალ. ჟორჟოლიანმა მოკლე პასუხი გასცა. ხალხში ბალშევიკების ლაპარაკი პროტესტს იწვევდა. საღამოს 4 საათზე მიტინგი კმაყოფილი დაიშალა.

3 აგვისტოს მოწვეული იყო მიტინგი ხიდისთავში. ტეხნიკური დაბრკოლებების გამო მიტინგი, რომელიც მოწვეული იყო 11 საათზე, შესდგა მხოლოდ 2 ს. პირველი მოხს. გააკეთა ამხ. ალექსანდრე ჟორჟოლიანმა, რომელიც შეეხო საქართველოს საგარეო მდგომარეობას, განსაკუთრებით დენიკინის საფრთხეს, და მოუწოდა მიტინგს, რომ ენერგიულად მხარი დაუჭიროს საქართველოს მთავრობას და დამფუძნ. კრებას. მე-2 მოხსენება გააკეთა ამხ. გიორგი შილაკაძემ, რომელიც შეეხო საქართველოს შინაურ მდგომარეობას, განუმარტა ხალხს აგრარული საკითხი, ფინანსიური მდგომარეობა რესპუბლიკის, შეეხო სიძვირეს და მის გამომწვევ მიზეზებს. ჩვენი მომხსენებლების შემდეგ ტრიბუნაზე ადის ცნობილი ბალშევიკი თედორე კალანდაძე, რომელიც დაუსრულებელ სიტყვაში გაუმასპინძლდა ხალხს ყალბი ცნობების მიწოდებით. ბ-ნ კალანდაძის გამოსვლა, როგორც ყოველთვის, ისე ამ დღესაც,ნამდვილი პროვოკაციული ხასიათისა იყო. მისი სიტყვები მიტინგის დიდ უმეტესობის ნაწილში პროტესტს და აღშფოთებას იწვევდა, მაგრამ ბალშევიკ თედორეს ჰყავდა გვერდში ამომდგარი მისი მცირე რიცხოვანი ჯგუფი, რომელიც შესდგებოდა დეზერტირებისაგან და სხვადასხვა ჯურის საეჭვო პირებისაგან. აი ეს თედორეს ერთგული ლაშქარი დროგამოშვებით მის ბელადს ტაშის ცემით აჯილდოვებდა. ბალშევიკ კალანდაძეს მომხსენებლებმა ალექ ჟორჟოლიანმა და გიორგი შილაკაძემ შესაფერი პასუხი გასცეს, დაარღვიეს მისი დებულებები. მიტინგზე აშკარად სჩანდა, რომ ჩვენმა მომხსენებლებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს, როგორც ჩვენ თანამგრძნობლებზე, ისე თედორეს ლაშქრის ნაწილზედაც. ხალხი კმაყოფილი დარჩა ამხ. ჟორჟოლიანის და შილაკაძის მოხსენებებით და საღამოს 7 საათზე დაიშალა.

ამავე დღეს მიტინგი იყო მოწვეული ერკეთში, სადაც მომხსენებლათ გაიგზავნა ამხ. გ. გოგუაძე. 4 აგვისტოს მოწვეული იყო მიტინგი ჯუმათის საზოგადოებაში. მიტინგზე მოხსენებების გასაკეთებლად ოზურგეთიდან იყვნენ სამაზრო ერობის გამგეობის წევრი ამხ. კალე ქავთარაძე და მიხ. ბაჟუნაიშვილი. რადგანაც მიტინგი მცირე რიცხოვანი დარჩა, ამხ. ქავთარაძემ გამართა ხალხთან ბაასი და შეეხო სწორეთ იმ კითხვებს, რომლებითაც ხალხი ყველაზე უფრო არის დაინტერესებული. მაგ., სიძვირე და მისი გამომწვევ მიზეზები, დენიკინის საფრთხე, შიგნით ანარქია და სხვა ასეთები. ბაასი შინაარსიანი იყო და ხალხიც სულ განაბული უსმენდა. მოხსენების შემდეგ რამოდენიმე კითხვები მისცეს ბალშევიკურად განწყობილმა პირებმა. ყველა კითხვებზე შესაფერი პასუხი გასცა და მიტინგიც 4 ს. დაიშალა.

მიტინგის შემდეგ გაიმართა ჯუმათის წვრილი ერთეულის ხმოსანთა ყრილობა. ყრილობას სამაზრო ერობის გამგეობის სახელით მიესალმა ამხ. ქავთარაძე, განუმარტა მათ მნიშვნელობა თვითმართველ ორგანიზაციებისა და უკუროვა ნაყოფიერი მუშაობა.

უნდა ითქვას, რომ ასეთ მიტინგებს და მოხსენებებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ხალხი ერკვევა ყველა საკითხებში და ამის შემდეგ ის პროვოკატორთა ანკესზე არ წამოეგება. იმედია, რომ ის ორგანიზაცია, რომელიც ამ საქმეს ხელმძღვანელობს, არ შეასუსტებს, არამედ უფრო გააძლიერებს ასეთ მუშაობას.

მონბლანი.

---

**სოფ. კობი.** (დუშეთის მაზრა) 3 აგვისტოს მოხდა თრუსოს ხეობის ოსების ყრილობა, სადაც ერობის გამგეობის თავმჯდომარე ჭონიშვილმა ილაპარაკა მაზრის ერობის და ხევის წვრილი საერობო ერთეულის შესახებ. დამსწრეთა მხრივ გამოითქვა ორი აზრი: ერთნი ჯავის ოსების ნაციონალურ საბჭოსთან დაკავშირებას მოითხოვდნენ, მეორენი წინააღმდეგნი იყვნენ ამისა, რადგანაც ჯავი შორს არის და თრუსოს ხეობა მას ცხრა მთით დაშორებულია.

ამ კითხვის საბოლოოთ გადაწყვეტა გადიდო შემდეგი ყრილობისთვის.

ხალხმა უკმაყოფილება განაცხადა გვარდიის მიერ თრუსოს ხეობით რესპუბლიკის საზღვრების დაჭერის შესახებ: ალბათ, მთავრობა აღარ გვენდობა, რომ საზღვრის დაცვას ჩვენ არ გვანდობსო. მათ აუხსნეს, რომ ეს კითხვა სახელმწიფოებრივი კითხვაა და არც დასაშვებია მშვიდობიანი მცხოვრებნი აამოქმედოს მთავრობამ მტრის საწინააღმდეგოდ.

საზოგადოდ გამოითქვა სურვილი გვარდიასთან შეთანხმებით იმოქმედონ.

X.


## განცხადებანი

დოქტორი [illegible]
ყოფილი ასისტენტი [illegible] მთავარი გოსპიტალის და [illegible] ტიკ კლინიკისა.
თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება 8—12 საათამდე და 4—7 საათამდე ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი მ. ფ. მგალობლიშვილი
ქალისა და სადოსტაქრო ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღ. 5—7 საათ. ოლღას ქ. № 41, ტელ. 12—75.

ელისაბედის ქუჩაზე სახლში № 157 გაიხსნა დიდუბის
**კერძო სამკურნალო**
ავადმყოფები მიიღება დილის 8 საათიდან საღმოს 8 საათამდე, (24—13)

ექიმი მ. ა. ზაფრანი
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები )შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქუჩა № 33.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი
მედიცინის დოკტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულ. ოთხშაბათობით და შაბათობით დილ. 10—11 საათ. დანარჩენ დღეებს დღის 12—2 ს. ნიკოლოზის ქუჩა № 7 სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. ტელეფონი 14—13.

ექიმი ა. დ. ქიქოძე
სიფილისი და ვენერიული სნეულებანი. შეშხაპუნება „606" და „914" მიღება დილით 9—11, საღამოთი 4—6 ს. მიხეილის პროს. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ № 116. ტელ. 14—28.

ექიმი ნიკოლოზ იმანეს ძე მახვილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციებით) და მისი შედეგებით დასნეულებულთ) სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის ახლო.

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა მ. ბ. მეზრახიანცი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა X სხივებით, დიდი სალენოიდი და არსევალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23, ტელ. 7—92.

საექიმო კაბინეტი
ექიმ ძ. თ. ტყეშელაშვილის
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები საშარდე და სასქესე ორგანოთა (606 და 914-ით წამლობა) მიხაილოვის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს მიხაილოვის (№ 55) დაბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე 5—7 ნახ. საათ.

ექიმი ქალი ო. ზ. ზიზლო-ხაბაზიშვილი
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქირურგიულ კოლლეჯისა. თფილისიდან წასვლის გამო ავადმყოფთა მიღება შეწყვეტილია 20 აგვისტომდე.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
ლეჩულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულობით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ. საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქუჩა. № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, ტელეფონი 16—65.

## ბორჯომის სახელოსნო სასწავლებელი

აცხადებს მსურველთა საყურადღებოთ, რომ აღნიშნულ სასწავლებელში მისაღები თხოვნების შემოტანა გაგრძელდება პირველ ენკენისთვემდის სასწავლებლის მმართველის სახელზე როგორც პირადათ, ისე ფოსტით. პირველ კლასში გამოუცდელათ მიიღებიან ორ კლასიან სასწავლებლებში სწავლა დამთავრებულნი, დანარჩენები—გამოცდით. სასწავლებელში არის ოთხ წლიანი კურსი შემდეგი სპეციალური განყოფილებებით: საზეინკლოთი, სადურგლოთი, სამჭედლოთი და საჩამომსხმელოთი. სასწავლებელს აქვს ღარიბებისათვის სტიპენდიები და უფასო ბინა. სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი მიიღებენ ოსტატის მოწმობას.

## თფ. პედაგოგიური ინსტიტუტი

(ყოფილი საოსტ. ინსტიტუტი), არსებული თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ამით აცხადებს შემდეგს:

1) ინსტიტუტი შესდგება ორი საფეხურისაგან. 2) თითოეული საფეხურის კურსი ორწლიანია. 3) პირველი საფეხური ამზადებს უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებელს. 4) მეორე საფეხური ამზადებს საშუალო სკოლის მასწავლებელს. 5) პირველ საფეხურზე მიიღებიან ყველანი, ვისაც მთავრობის ვაჟთა ან ქალთა საშუალო სასწავლებელი აქვს დასრულებული, აგრეთვე საოსტატო სემინარია, ან და ვინც პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებულ გამომცდელ კომისიაში ჩააბარებს გამოცდებს (პროგრამები ინახება ინსტიტუტში). 6) მეორე საფეხურზე მიიღებიან ან ერთ ერთ უმაღლეს სასწავლებელში კურს დამთავრებულნი, ან თფილისის უნივერსიტეტის სტუდენტები, რომელთაც ინსტიტუტის პირველი საფეხური აქვთ გავლილი.

თხოვნები მიიღება თფილისში (პედაგოგ. ინსტიტ., დიდი მთავრის ქ. № 91) დირექტორის ბინა. (7—2)